



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080162381397019

№ 2543

05 / ივნისი / 2019 წ.

შპს „სქაიტელის“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ


სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 14 მაისს წარმოდგენილ იქნა შპს „სქაიტელის“ (ს/ნ: 400013748) მომართვა (რეგისტრაციის № 5187), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება. შპს „სქაიტელმა“ 2019 წლის 28 მაისსა და 3 ივნისს წარმოადგინა დაბუსტებული მომართვები (რეგისტრაციის №5716 და №5888), რომლითაც გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2019 წლის 17 მაისის №1899 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაბუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ ისინი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „სქაიტელი“ (ს/ნ: 400013748) 2019 წლის 6 ივნისს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

ლევან რაზმაძე